პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 20 აგვისტო, 1943 წ. № 175 (67100). ფასი 20 კაპ.

მოსკოვი, კრემლი

უმაღლეს მთავარსარდალს საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ სტალინს

ქალაქ ორიოლის მშრომელთაგან

ჩვენო ძვირფასო და მშობლიურო
იოსებ ბესარიონის-ძევ!

განთავისუფლებულ ქალაქ ორიოლის მშრომელნი, შეკრებილნი მიტინგზე წითელი არმიის იმ ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქის განთავისუფლებაში, — სიყვარულისა და სალამის პირველი სიტყვით მოგმართავენ თქვენ, ჩვენს მშობლიურ მამასა და მასწავლებელს, წითელი არმიის გენიალურ მხედართმთავარს. სიტყვებით ვერ გამოვთქვამთ ყოველივე იმას, რისი გადატანაც ჩვენ, ორიოლელებს, მოგვიხდა ფაშისტური ოკუპაციის 22 თვის განმავლობაში. უმაგალითო ძალადობა და აბუჩად აგდება მშვიდობიანი მოსახლეობისა, მხეცური თვითნებობა და თავაწყვეტილი ძარცვა და მკვლელობა მეფობდა ქალაქში ამ საშინელ დღეებში. ათასობით გვამი აღმოჩენილ იქნა აგურის ქარხანასთან, ტანკსაწინააღმდეგო თხრილში და მედვედევის ტყეში. ქალაქ ორიოლის ბევრი მცხოვრები გერმანელმა ავაზაკებმა დაახრჩეს მდინარე ორლიკში. ქალაქის ათასობით მოქალაქენი გაირეკეს მონებად გერმანიის კატორღაში.

ფაშისტმა ბარბაროსებმა მთლად დაანგრიეს ქალაქის სამრეწველო საწარმონი: მედვედევის სახელობის ქარხანა, ქარხანა № 5, ქარხანა № 9, მათ ნანგრევებად აქციეს საზამთრო და საზაფხულო საოლქო თეატრები, დაანგრიეს საუცხოო კინოთეატრი „როდინა"—ჩვენი ქალაქის მშვენება და სიამაყე, მათ დაანგრიეს ტურგენევის სახელობის მუზეუმი. ჰიტლერელმა არამზადებმა აიფთქეს ორიოლის ყველა სასწავლებელი, მათს რიცხვში პედაგოგიური ინსტიტუტი, 25 სკოლა, ბიბლიოთეკები; მათ ბარბაროსულად მოსპეს ყველა საავადმყოფო, პოლიკლინიკები, ფოსტა, ტელეგრაფი, ელექტროსადგური, ქალაქის მთელი მეურნეობა და ტრანსპორტი.

სისხლი გვეყინება ძარღვებში, როდესაც მოვიგონებთ ყოველივეს, რაც გადავიტანეთ. თავხედი დამპყრობნი ყოველგვარი საშუალებით ცდილობდნენ გავეგერმანელებინეთ, მოესპოთ ურჩნი, გაეტეხათ ჩვენი ნებისყოფა ბრძოლისა, ვეიძულებინეთ უარი გვეთქვა საბჭოთა სამშობლოზე, დაგვევიწყნა, რომ ჩვენ რუსი ადამიანები ვართ. მაგრამ განაწამებმა და დაჭრილმა ორიოლმა ამაყი თავი არ მოიხარა გერმანელი ავაზაკების წინაშე. ჩვენ არ ვკარგავდით განთავისუფლების რწმენას, ვიცოდით, რომ კრემლში ცხოვრობს და მუშაობს საყვარელი სტალინი, ღრმად გვწამდა—ამხანაგ სტალინს ვახსოვართ და წითელ არმიას გამოგზავნის ჩვენს დასახსნელად.

ახლა გერმანელთა ოკუპაციის საშინელი სისხლიანი კოშმარი უკან დაგვრჩა. ჩვენ კვლავ და სამუდამოდ საბჭოთა ადამიანების შეხმატკბილებულ ოჯახში ვართ. უსაზღვროა ბედნიერება და სიხარული. სიტყვები არა გვყოფნის, რომ გამოვთქვათ ჩვენი მადლობა და მხურვალე სიყვარული წითელი არმიის მამაცი მეომრებისადმი, რომლებმაც ჩვენ გაგვათავისუფლეს.

ძნელია სიტყვებით გამოვთქვათ ჩვენი მადლობა თქვენდამი, ჩვენო მშობლიურო მამავ იოსებ ბესარიონის-ძევ. სულითა და გულით დიდ და გულითად მადლობას გიძღვნით ჩვენი განთავისუფლებისათვის ფაშისტთა უღლისაგან!

ფაშისტური სიბილწის განდევნის შემდეგ ჩვენ დაუყოვნებლივ შევუდექით ქალაქის მეურნეობისა და კულტურულ დაწესებულებათა აღდგენას.

პირობას გაძლევთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რაც შეიძლება მალე აღვადგინოთ დანგრეული სამრეწველო საწარმონი და მოვაგვაროთ ქალაქ ორიოლის ნორმალური ცხოვრება, გავაკეთოთ ყოველივე, რათა დავეხმაროთ ჩვენს სახელოვან წითელ არმიას—მალე გაანადგუროს ჰიტლერელი დამპყრობნი. წითელი არმიის ახალი ბრწყინვალე წარმატებანი გვინერგავენ მტკიცე რწმენას, რომ ახლოა ჟამი ფაშისტ დამპყრობთაგან ჩვენი სამშობლოს მთლიანად გაწმენდისა, ჟამი სამგზის წყეული ჰიტლერული გერმანიის საბოლოო განადგურებისა.

მთელი სულითა და გულით გისურვებთ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, ჯანმრთელობას მრავალ წელს, ჩვენი ხალხის საბედნიეროდ და სასიხარულოდ. წყევლა და სიკვდილი გერმანელ დამპყრობთ!

გაუმარჯოს სახელოვან გმირ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ მხედართმთავარს, მშობლიურ ამხანაგ სტალინს!

(მიღებულია 1943 წლის 15 აგვისტოს საერთო-საქალაქო მიტინგზე, რომელიც შესდგა გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთაგან ქალაქ ორიოლის განთავისუფლების აღსანიშნავად).

გავაძლიეროთ მზადება ზამთრისათვის

ფრონტისადმი დახმარების ყოველმხრივ გაძლიერებაში საბჭოთა პატრიოტები გრძნობენ, რომ ამით ისინი აჩქარებენ გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებზე ჩვენი საბოლოო გამარჯვების ჟამს. ამხანაგ **სტალინის** 5 აგვისტოს ისტორიულმა ბრძანებამ ჩვენი ქვეყნის მშრომელები ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანა.

ზაფხულში ჩვენმა მრეწველობამ და ტრანსპორტმა ახალ სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს, მაგრამ ამავე დროს საჭიროა ვიცოდეთ, კარგად ვიცოდეთ, რომ ახლოვდება რა შემოდგომა და ზამთარი, წლის ამ დროებს ერთგვარი სიძნელეებიც მოაქვთ ჩვენი ფაბრიკა-ქარხნებისათვის. მაღაროების, შახტებისა და რკინიგზის ტრანსპორტისათვის.

თუ შემოდგომისათვის მზადება შემოდგომაზე იქნა დაწყებული—დაგვიანებულია. თუ მხოლოდ ზამთარში მივიღეთ ზომები ზამთრის სიძნელეების გადასალახავად—როდი კმარა. ზამთრისათვის მზადება სწორედ ახლაა საჭირო, რათა სრული მზადყოფნით შევხვდეთ მას, ამ საქმეში ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ინიციატივა. ეს კი ნამდვილად შეჰქმნის ყველა პირობას იმისათვის, რომ ზამთარმა ვერ დააბრკოლოს ვერცერთი ქარხნის, მაღაროს, უფრო მეტიც, ვერცერთი დაზგისა და ვერცერთი მატარებლის ფრონტული მუშაობა გრაფიკის ზუსტად დაცვით.

ფაბრიკა-ქარხნების მზადყოფნა ზამთრისათვის იმას ნიშნავს, რომ მათ არა მარტო შენობები და საერთო საცხოვრებლები ჰქონდეთ შეკეთებული, რაც ავრეთვე პირველ რიგშია საჭირო, არამედ, მაღალხარისხოვნად უნდა ჩატარდეს მოწყობილობის, ინვენტარის რემონტი, სრულ წესრიგში მოვიყვანოთ მექანიზმები, მისასვლელი გზები. ხომ ფაქტია ზამთარში მოწყობილობის მთელი რიგი სახეების რემონტის სირთულე! ამიტომ მათი კაპიტალური და მიმდინარე შეკეთება დროზე უნდა მოხდეს, გეგმის მიხედვით, ისე, რომ ოდნავაც არ დაბრკოლდეს საწარმოს მუშაობა. ზამთრისათვის საჭიროა ნედლეულისა და სათბობის, ჯართის მომარაგება.

ჩვენი რესპუბლიკის მთელი რიგი საწარმოები ენერგიულად ემზადებიან ზამთრისათვის. ქარხანაში, სადაც დირექტორად არის ამხ. სარიშვილი, უკვე დამთავრებულია ორი საამქროს შენობების კაპიტალური რემონტი, მიმდინარეობს ცენტრალური გათბობის შეკეთება, მუშა-მოსამსახურეთა საერთო საცხოვრებლის 20 ოთახს რემონტი გაუკეთდა, ზამთრისათვის მომარაგებულია ქვანახშირი და შეშა. ქარხანამ დახმარება გაუწია ფრონტელთა ოჯახებს და 10 მათგანს ბინები შეუკეთა. ზამთრისათვის მზადება დროულად დაიწყო თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკამ (დირექტორი ამხ. სიმონიშვილი, პარტბიუროს მდივანი ამხ. ლისენკო).

მაგრამ ზოგან ადგილი აქვს ზამთრისათვის მზადების შეუფასებლობას. თბილისის სპილენძსტალეც ქარხანაში (დირექტორი ამხ. კ. მაღლაკელიძე) ზამთრისათვის მზადებას ჯერაც არ შესდგომიან. ანალოგიურ მდგომარეობას სხვაგანაც აქვს ადგილი. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გავაძლიეროთ ზამთრისათვის მზადების ტემპები, არ შევჩერდეთ იმაზე, რაც გაკეთებულია, ღრმად ჩავუფიქრდეთ, ავწონ-დაწონოთ, მაქსიმალური სიზუსტით გავითვალისწინოთ ზამთარში მუშაობის პირობები, აქედანვე მივიღოთ ყველა ზომა მოსალოდნელ სიძნელეთა გადასალახავად.

ავიღოთ, მაგალითად, ნედლეულითა და სათბობით, კერძოდ, ქვანახშირით მომარაგების საკითხი. ბუნებრივია, ქვანახშირით მომარაგება დამოკიდებულია მაღაროებისა და შახტების წარმატებითს მუშაობაზე, მაგრამ არანაკლებად დამოკიდებულია რკინიგზის ტრანსპორტზე. ახლა, როცა რკინიგზის ტრანსპორტი ჯერ არ არის გადატვირთული მოსავლის შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვით, ყველაზე ხელსაყრელი დროა ქვანახშირის გადაზიდვისათვის. ქვანახშირის მაღაროები და შახტები თავის მხრივ მოწოდებულნი არიან არა მარტო დღეს, ხვალ, ზეგ შეასრულონ გეგმები. არამედ ისე დააყენონ საქმე, რომ ზამთარშიც შეუფერხებლად, წარმატებით ასრულებდნენ გეგმებს.

ზამთარი განსაკუთრებულ სიძნელეებს უქმნის რკინიგზის ტრანსპორტს. ეს იციან რკინიგზელებმა, იციან თბილისის საორთქლმავლო დეპოშიც (უფროსი ამხ. სალარიძე, პარტბიუროს მდივანი ამხ. მგელაძე). იქ უკვე ემზადებიან ზამთრისათვის, ბრიგადებში ყოველდღიურად ტარდება ლექციები ზამთარში მოძრაობის წესებსა და სიძნელეთა გადალახვის ღონისძიებებზე. ეს კარგია. მაგრამ საჭიროა გვახსოვდეს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საერთოდ რკინიგზის ტრანსპორტის იმ ახალ ადამიანებს, რომლებსაც პირველად მოუხდებათ ზამთრის პირობებში მუშაობა და გამოცდილებას პრაქტიკულად მხოლოდ მომავალ ზამთარში მიიღებენ.

ჯანსაღი მოძრავი შემადგენლობა, რკინიგზის ტრანსპორტის საფუძველი—ლიანდაგი — ფრიად მდგომარეობაში,—ასე უნდა შეხვდნენ რკინიგზელები ზამთარს. ლიანდაგების შეკეთებაში ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მოწინავეთა გამოცდილება, დავნერგოთ კაზანცევის თაოსნობა, მოვაწყოთ სალიანდაგო სამუშაოებზე მორიგეობისაგან თავისუფალი რკინიგზელების და მათი ოჯახის წევრების მასობრივი გასვლა. საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ შინაგანი რესურსები, ამის ხარჯზე შევამციროთ ცენტრალიზებული დაკვეთები და დავიცვათ ეკონომია—ომიანობის დროის ეს მკაცრი კანონი.

მოდის შემოდგომა, ახლოვდება ზამთარიც. და რაც უფრო კარგად, რაც უფრო მომზადებული შეხვდებით ზამთარს, მით უკეთესად იმუშავებენ ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები, მაღაროები და შახტები, რკინიგზები და დაწესებულებები, უფრო კარგად იმუშავებს მთელი ჩვენი მრეწველობა. ყველა მისი მუშაკი ფრონტისათვის, წითელი არმიის დასახმარებლად, ჰიტლერელ ავაზაკთა გასანადგურებლად.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

18 აგვისტოს ოპერაციული ცნობა

18 აგვისტოს განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრიანსკის მიმართულებით განაგრძობდნენ შეტევას და, წინ წაიწიეს რა ცალკეულ უბნებზე 6-დან 10 კილომეტრამდე, დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი და მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები: ლედნაია, ოკლია, კალინინო, ოსსოროკი, ბოლოლობოვკა, სუკრემენიე, ავდეევკა, ნიკოლაევკა, ფილოსოფსკი ზავოდი და რკინიგზის სადგურები—ბერიოზოვკა (34 კილომეტრზე ბრიანსკის ჩრდილო-აღმოსავლეთით) და მილინკა (32 კილომეტრზე ბრიანსკის აღმოსავლეთით).

ხარკოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები, სძლევდნენ რა მტრის წინააღმდეგობას და კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ შეტევას, ცალკეულ უბნებზე წინ წაიწიეს 7-დან 10 კილომეტრამდე და დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის: ქალაქი ზმიოვი, რაიონული ცენტრი ოპოშნია, დიდი დასახლებული პუნქტები — ვერხნიაია და ნიჟნიაია სიროვატკა, ველიკი იხტოროპი, პოლევოე, ბოროვოე, ვასიშჩევო, ზამოსტიე, ჩემუშოვკა და რკინიგზის სადგურები—სიროვატკა, ნიზი, გრებენიკოვკა, ზმიოვი.

ფრონტის სხვა უბნებზე ჩვენი ჯარები ეწეოდნენ საბრძოლო დაზვერვას და საარტილერიო-სანაღმმტყორცნო სროლას მოწინააღმდეგისთან.

17 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 114 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 129 თვითმფრინავი.

* * *

ბრიანსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. ერთ უბანზე მოწინააღმდეგის ტანკებმა და ქვეითმა ჯარმა კონტრიერიში მოიტანეს. საბჭოთა მებრძოლებმა დიდი ზარალი მიაყენეს გერმანელებს და აიძულეს ისინი უკან დაეხიან. ჩვენი ქვეგანაყოფები დაედევნენ მოწინააღმდეგს, დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და მოსპეს 500 ჰიტლერელი, 4 საარტილერიო ბატარია და 35 ავტომანქანა მტრის ქვეითი ჯარიანად. საარტილერიო ბატარიამ გვარდიის კაპიტან პლოტკინის მეთაურობით, ქვეითი ჯარისათვის გზის გაკაფვისას, მოსპო მოწინააღმდეგის 6 სატყვიამფრქვევი წერტი, რამდენიმე ნაღმსატყორცნი და ერთი ქვემეხი. ერთ ბრძოლაში გერმანელთა ტანკი, რომელიც მიმალული იყო ყუმბარის დიდ ამონათხარში, ცეცხლს უშენდა ჩვენს მეავტომატეებს. ათეულის მეთაური კარეცი მიხოდა მტრის ტანკთან და ვრანატების კონა ესროლა მას. ტანკი დაიწვა.

6 შენაერთის ნაწილები, რომლებიც დაეუფლნენ ქალაქ ეიზდრას, წარმატებით მიიწევდნენ წინ და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. მოსპობილია 800-მდე ჰიტლერელი და მოწინააღმდეგის 7 ტანკი. ხელთ ვიგდეთ 2 ტანკი და სხვა დაგლა. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ხარკოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს და განაგრძობდნენ შეტევას.

ხარკოვის ჩრდილო-დასავლეთით 6 შენაერთის ნაწილები, სძლევდნენ რა მტრის წინააღმდეგობასა და კონტრიერიშებს, წინ მიიწევდნენ და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. მოსპობილია 1.300 ჰიტლერელი, მოწინააღმდეგის 29 ტანკი და 8 სანაღმმტყორცნო ბატარია. ხელთ ვიგდეთ 16 ტანკი, ერთი დიდი სასურსათო საწყობი და სხვა დაგლა.

ხარკოვის დასავლეთით 6 შენაერთის მებრძოლებმა, იგერიებდნენ რა გერმანელთა გააფთრებულ კონტრიერიშებს, მოსპეს მტრის ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარი, 13 ტანკი და 2 ტრანსპორტიორი. კაპიტან პოპოვის ქვეგანაყოფის არტილერისტთა ჯგუფმა შეაღწია მოწინააღმდეგის განლაგებაში და ხელთ იგდო „ვეფხვის" ტიპის ვარგისი ტანკი მის ეკიპაჟთან ერთად.

ხარკოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა გადალახეს წყლის ზღუდე და გადამწყვეტი იერიშით დაიკავეს ქალაქი ზმიოვი. განაკვთარეს რა წარმატება, საბჭოთა მებრძოლებმა დაიკავეს მოწინააღმდეგის მთელი რიგი დასაყრდენი პუნქტები. ამ ბრძოლებში მოსპობილია 1.200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 2 სანაღმმტყორცნო ბატარია და 28 ტყვიამფრქვევი. ხელთ ვიგდეთ 2 ტანკი, 14 ნაღმსატყორცნი, 8 ტყვიამფრქვევი, 5 საწყობი საომარ მასალიანად და სხვა დაგლა.

გვარდიის ლეიტენანტმა ულიანოვმა ტანკსაწინააღმდეგო თოფის ცეცხლით მოსპო გერმანელთა ერთი ტანკი, ხოლო სხვა ტანკი „ვეფხვის" ტიპისა ააფეთქა ტანკსაწინააღმდეგო გრანატით. ჯავშანმტვრეველებმა ჩერნოკო

პარტიული ცხოვრება

სწავლობენ ამხანაგ სტალინის წიგნს „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“

თბილისის საორთქლმავლო დეპოში

ამხანაგ სტალინის წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ გამოსვლისთანავე თბილისის საორთქლმავლო დეპოს პარტიულმა მასობრივად მიმართავდნენ მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, საამქროთა ხელმძღვანელები: ზოგი წრეში გაერთიანების სურვილს აცხადებდა, ზოგი ახსნა-განმარტებას მოითხოვდა, თუ როგორ შესდგომოდნენ დამოუკიდებლად მეცადინეობას, რა დამხმარე ლიტერატურა გამოეყენებინათ.

დეპოს პარტიულმა განიხილა საკითხი ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლის შესახებ, ჩაატარა საამქროთა პარტორგანიზაციის მდივნების თათბირი. გამორკვეულ იქნა დამოუკიდებლად შესწავლელთა და წრეში გაერთიანების მსურველთა რაოდენობა, რაც საფუძველზეც 4 წრე ჩამოყალიბდა. მათში 100-მდე მსმენელია გაერთიანებული. წრეებს გამოკიდილი პროპაგანდისტები ამხ. ფ. ლაბაძე, დეპოს უფროსის მოადგილე ამხ. ა. ფირცხალავა, მთავარი ინჟინერი რ. ბაბაიანი და დოცენტი ნ. ბერგი ხელმძღვანელობენ.

დეპოს კოლექტივის დიდი უმრავლესობა ამხანაგ სტალინის წიგნს ინდივიდუალურად სწავლობს. სწავლობენ ინჟინერ-ტექნიკოსები, საამქროთა უფროსები, მოწინავე სტახანოველები. ისინი თავის თავზე მუშაობისათვის, ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლისათვის სათანადო დროს პოულობენ—ღამე და დილით ადრე მეცადინეობენ. დეპოს მოწინავე ზენინკალი დ. ჭავჭანიძე, ცნობილი მრანდავი პ. პიენენკო, რომელიც ყოველთვიურ გეგმებს ოთხმაგად და ხუთმაგად ასრულებს, აწევითი საამქროს უფროსი ორდენოსანი შ. ხიზანაშვილი, მემანქანე გ. წიკლაური, რომლის ბრიგადას უკვე რამდენიმე თვეა ამიერკავკასიის რკინიგზის გარდამავალი წითელი დროშა უპყრია, ინჟინერი მ. კაციტაძე, მექანიკოსი პ. ივანენკო და სხვები გმირული შრომით აღსავსე დღის შემდეგ ხელში იღებენ ამხანაგ სტალინის წიგნს და გულდასმით სწავლობენ. ბელადის წიგნი მათ ახალ სტიმულს აძლევს მუშაობაში. მაგალითად, პ. პიენენკომ 14 აგვისტოს გეგმა 740 პროცენტით შეასრულა. დამოუკიდებლად მუშაობს ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლაზე ცნობილი მემანქანე მიხეილ ტიტვინიძე. მისი ერთი შვილი გმირულად იცავდა ვოლგის ციხე-სიმაგრეს—ქალაქს, რომელიც დიდი ბელადის სახელს ატარებს. მეორე კოტელნიკოვოსთან გამართულ ბრძოლაში დაიჭრა, ხოლო თვით მიხეილი სამამულო ომის დღეებში საამქროს სტახანოვური შრომით ეხმარება.

დეპოს აგიტპუნქტში ამხანაგ სტალინის წიგნის შემსწავლელთა დასახმარებლად მოწყობილია გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა. აქ არის ამხანაგების მოლოტოკის, კალინინის სიტყვები და გამოსვლები, ბროშურები, გაზეთებისა და ჟურნალების სტატიები. ამ ლიტერატურით სარგებლობენ სტალინის წიგნის შემსწავლელნი.

ამხანაგ სტალინის წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ ღრმად შესწავლისათვის არის გათვალისწინებული ყველა ის ლექცია და მოხსენება, რომლებიც ამ თვეში უნდა ჩატარდეს დეპოს კოლექტივში.

მ. კალანდაძე

ქუთაისი

ქუთაისი („კომუნისტის“ საკ. კორ.). შედგა ქალაქ ქუთაისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელმაც მოისმინა საკ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივნის ამხ. ნ. სტურუას მოხსენება ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლისა და ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ ქუთაისის მშრომელები დიდი მონდომებით შეუდგნენ ამხანაგ სტალინის წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ ღრმა და საფუძვლიან შესწავლას. ქალაქში ჩამოყალიბებულია 23 წრე, რომლებიც მეცადინეობას შეუდგნენ 16 აგვისტოს. ბევრი მშრომელი დამოუკიდებლად სწავლობს ბელადის წიგნს. პარტკაბინეტებში კვალიფიციური ლექტორები ატარებენ ლექციებს, მოხსენებებს, კონსულტაციებს ამხანაგ სტალინის წიგნის ცალკეულ საკითხებზე. პარტგანათლების სახლში ეწყობა ლიტერატურისა და მასალების გამოფენა.

ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატში (პარტბიუროს მდივანი ამხ. კ. იოსელიანი) შექმნილ წრეებში გაერთიანებულია 85 ამხანაგი. წრეების ხელმძღვანელად პარტორგანიზაციამ გამოჰყო კვალიფიციური და გამოცდილი პროპაგანდისტები მ. კვილდიანი, ნ. შამათავა, ვ. შარაშენიძე, ა. ცარციძე, დ. თოთიბაძე და სხვები.

აქტივის კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ამხანაგები იოსელიანი, ჩხაიძე, სახელაშვილი, ჩადაძე, ბარამიძე, კერესელიძე, ლალიაშვილი.

ბ. სამხარაძე

ფოთი

ამხანაგ სტალინის წიგნის შესასწავლად ჩამოყალიბებულია 40 წრე. 17 წრე უკვე შეუდგა ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლას. ქალაქის პარტკაბინეტი პროპაგანდისტებისა და წრეების ხელმძღვანელთათვის აწყობს სემინარს. გაახსნა მასალების გამოფენა ამხანაგ სტალინის წიგნის შემსწავლელთა დასახმარებლად. (საქდესი).

მახარაძის რაიონი

მახარაძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის მშრომელები შეუდგნენ ამხანაგ სტალინის წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ საფუძვლიანად შესწავლას. რაიონში ჩამოყალიბდა სტალინის წიგნის შემსწავლელი ოცი წრე. სოფ. გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში ჩამოყალიბებულ წრეს რაიკომის ინსტრუქტორი თამარ ტოტოჩავა ხელმძღვანელობს. წრეში 25 კოლმეურნე გაერთიანდა, მათ შორის არიან: სამამულო ომის მონაწილე, ბრიგადირი აკაკი მალაზონია, კოლმეურნეები მიშა თავდიშვილი, ვალიდა დეიანაძე, ნინო ტოტოჩავა. ბევრმა ამხანაგმა სტალინის წიგნის დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი გამოთქვა. მეცადინეობა დაიწყეს სოფ. გურიანთის კოლმეურნეობის, აბრეშუმის ფაბრიკის და სხვა საწარმოთა წრეებმა.

პარტრაიკომის მდივნის სერგო ესაძის ხელმძღვანელობით ჩატარდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირი. ზონების მიხედვით იმართება კონსულტაციები. რაიკომის პარტკაბინეტში მოწყობილია დამხმარე ლიტერატურისა და მასალების გამოფენა.

ლ. ლოლაძე

ჩოხატაური

ჩოხატაური („კომუნისტის“ საც. კორ.). სამამულო ომის დღეებში გაიზარდა მშრომელთა აქტივობა. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია უდიდეს ინტერესს იჩენენ იმ საკითხებისადმი, რომელნიც სამამულო ომის ფრონტებს, საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას, ჩვენი სამშობლოს ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებას შეეხებიან. ჩოხატაურის რაიონის პარტიული ორგანიზაციები სათანადო მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან მასებში იმისათვის, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე საბჭოთა ადამიანების გაზრდილი პოლიტიკური შეგნებულობისა და აქტივობის მოთხოვნილების სიმაღლეზე დაყენონ. რაიონის საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში ტარდება პოლიტიკური ინფორმაციები, აგიტსაუბრები, ლექციები, მოხსენებები, კონსულტაციები. რაიონში 25 აგიტკოლექტივი მუშაობს და აერთიანებს 449 აგიტატორს. საგიტაციო მუშაობაში ფართოდ არის ჩაბმული იინტელიგენცია—მასწავლებლები, აგრონომები, მედმუშაკები. ლექცია-მოხსენებებს კითხულობენ და პოლიტიკურ საუბრებს ატარებენ ლექტორები, რომელთაც აქვთ უმაღლესი განათლება და პროპაგანდისტული მუშაობის სათანადო გამოცდილება. კოლმეურნეობებში 1½-2 თვის განმავლობაში ერთხელ მაინც ტარდება ლექცია, მოხსენება ან საუბარი სამამულო ომის, მიმდინარე მომენტის საკითხებზე. საქ. კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომი ბიუროს სხდომაზე ისმენს საკითხებს პოლიტიკური აგიტაციისა და პარტიული პროპაგანდის მიმდინარეობაზე და სათანადო ღონისძიებებსაც სახავს. მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასებში პოლიტიკური მუშაობის ხაზით და პროპაგანდის დარგში ადგილი აქვს ზოგიერთ სერიოზულ ნაკლს. მიმდინარე წლის ყოველთვიური გეგმით გათვალისწინებული ლექციების, მოხსენებების, საუბრებისა და კონსულტაციების თემატიკაში მკრთალად არის წარმოდგენილი ჩვენი სამშობლოს გმირული წარსულის ამსახველი თემები. საკმარისად ვერ ჩაითვლება ლექციებისა და მოხსენებების რაოდენობა დიდი ბელადის და მხედართმთავრის—ამხანაგ სტალინის ისტორიული მნიშვნელობის გამოსვლებისა და ბრძანებების შესახებ. აღსანიშნავია, როგორც ნაკლი, რომ აგვისტოს გეგმაში, რომელიც პარტრაიკომის ბიუროს მ 10 აგვისტოს დაამტკიცა, ამხანაგ სტალინის წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ შესწავლისათვის გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი ლექცია.

გეგმიანი მუშაობა პარტიული პროპაგანდის დარგში ზოგჯერ იჩენენ იმით, რომ თითქმის ყოველ თვეში არის ერთი ან ორი შემთხვევა ლექციის, მოხსენების და საუბრის ჩაშლისა. (მაგალითად, თებერვალში არ შედგა ა. ფოცხიშვილის ლექცია სოფ. ზენონბანში, მარტში არ შესდგა საუბარი ბურნათის კოლმეურნეობაში, აპრილში ჩაიშალა საუბარი ქვემო ერკეთის კოლმეურნეობაში, ივნისში გადადებულ იქნა ორი საუბარი და ერთი კონსულტაცია, ივლისში არ ჩატარებულა ერთი მოხსენება).

პარტრაიკომის ბიურო პერიოდულად ისმენს საკითხს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის „მოკლე კურსის“ შესწავლისა და მიმდინარე პოლიტიკურ შემსწავლელი წრეების მუშაობის შესახებ და სათანადო ღონისძიებებს სახავს, მაგრამ ამ ღონისძიებათა განხორციელების შემოწმება იშვიათად ხდება. აღსანიშნავია, რომ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის „მოკლე კურსის“ დამოუკიდებლად შემსწავლელთა დიდი ემრავლესობა წიგნის პირველ შვიდ თავს არ გასცილებია. რაიონის პარტიული ორგანიზაციები ბოლშევიზმის ისტორიის ოქტომბრის-შემდგომი პერიოდის შესწავლას სათანადო ყურადღებას ვერ უთმობენ.

საგიტაციო-მასობრივი მუშაობის უკეთ მოწყობისათვის რაიონის პარტორგანიზაციებს მნიშვნელოვანი მუშაობა აქვთ გაწეული და ზოგიერთი მიღწევაც აქვთ. მთელი რიგი აგიტატორები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან კოლმეურნეობის ბრიგადებსა და რგოლებში, სისტემატურად მოუთხრობენ კოლმეურნეებს სამამულო ომის ფრონტების, საბჭოთა კავშირის, საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და რაზმავენ მასებს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის, მტერზე გამარჯვებისათვის. სოფ. გორაბერეჟოულის აგიტკოლექტივში (ხელმძღვანელი გ. ანთიძე), სადაც 12 აგიტატორია გაერთიანებული, ყოველ დეკადაში ტარდება მეცადინეობა, აგიტატორები საქმიან მეთოდურ დახმარებას იღებენ. აგიტატორები შ. ცინცაძე, ქ. ცენტერაძე, ა. ბერიშვილი და ქ. კოტრიკაძე თავიანთ საუბრებს მიმდინარე მომენტის საკითხებზე მოხერხებულად უკავშირებენ კოლმეურნეთა საბრძოლო ამოცანებს, რაზმავენ მასებს ამ ამოცანათა გადაჭრისათვის. ბრიგადები, სადაც ეს ამხანაგები მუშაობენ აგიტატორებად, წარმატებით ასრულებენ გეგმებს და სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. აგიტატორები ეხმარებიან ბრიგადებს ყველა გზებით გამოშვებაში და სხვ.

მიუხედავად მიღწევებისა, პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის დარგში რაიონში ადგილი აქვს ზოგიერთ ნაკლს. ზოგიერთ საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებმა სუსტია პოლიტიკურ-მასობრივი და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა. სოფ. საყვავისტყის კოლმეურნეობის ბრიგადებსა და რგოლებში აგიტატორებად მუშაობენ მასწავლებლები, რომელთა უმრავლესობა ახლა, როცა სოფლად გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს, აგიტსაუბრებს არ ატარებს. პარტორგანიზაცია სუსტად იბრძვის კომუნისტთა ავანგარდული როლისათვის კოლმეურნეობაში. პარტიულ კრებებს იშვიათად იწვევენ. უკანასკნელი ხუთი თვის განმავლობაში ორი კრება ჩატარებულა. კრების დღის წესრიგი სათანადოდ მომზადებული არ არის. წელს ერთხელაც არ უმსჯელიათ საგიტაციო-მასობრივი მუშაობის, სოციშეჯიბრების გაწლის და კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხებზე. დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს კი აქვს ადგილი. რაიკომი სათანადოდ ვერ ეხმარება ამ პარტორგანიზაციას. წელს აქ ინსტრუქტორი (ამხ. ა. ცინცაძე) მხოლოდ ორჯერ ყოფილა და, როგორც გამოირკვა, მაშინაც საკმო პრაქტიკული დახმარება არ გაუწევია. რაიონში 900 ცალი „კომუნისტი“ ვრცელდება და, მიუხედავად ამისა, 50-ზე მეტი აგიტატორი უგაზეთოდ არის დარჩენილი. გაზეთები აკლია აგრეთვე აქტივს სოფლად. პარტორგანიზაციებმა გაზეთების განაწილება-გავრცელების საქმეს მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ. ადგილობრივი ინტელიგენცია, რომელიც კარგად არის გამოყენებული საგიტაციო მუშაობაში, არასაკმაოდ არის ჩაბმული ძირეული პრესის საქმიანობაში. ამით შეიძლება აიხსნას, რომ გორაბერეჟოულის საკოლმეურნეო კედლის გაზეთი სუსტია, წერილები ისეა ჩასწორებული, რომ კვალიფიციურ მკითხველსაც გაუჭირდება გერკვევა. დაბლაციხის სასოფლო საკითხველოს კედლის გაზეთის 10 აგვისტოს ნომერი სავსეა ამორეკრებით აპრილის რიცხვებში გაზ. „კომუნისტში“ გამოქვეყნებული მასალებიდან. ხოლო რაც ხელით არის დაწერილი, წვიმით არის გადარეცხილი. სოფლის საკითხველოები არაკაკმაოდ არიან უზრუნველყოფილი ახალი ლიტერატურით, მაგრამ არსებული ლიტერატურაც სათანადოდ არ არის დალაგებული და გამოყენებული. დაბლაციხის ქოხ-საკითხველოს გამგე კოლმეურნეების იშვიათი სტუმარია. რაიონის განათლების განყოფილება ჯერ-როვან ყურადღებას არ აქცევს სასოფლო საკითხველოების მუშაობას. საკითხველოს გამგეების მუშაობის საათებიც კი ზუსტად არ არის განსაზღვრული.

მასებში პოლიტიკური მუშაობისათვის ფართოდ არ არის გამოყენებული რადიო. რადიოქსელი მუშაობს ჩოხატაურის ახლო მდებარე ოთხ პუნქტში, ხოლო რაიონის სოფლების დიდ უმრავლესობაში რადიო მოწყობილი არ არის, სუსტია ზოგიერთი აგიტკოლექტივის ლა აგიტატორის მუშაობა. მაგალითად, სოფ. ზომლეთის აგიტკოლექტივი (ხელმძღვანელი ელ. კობიძე) აგიტატორებს სათანადო დახმარებას ვერ უწევს. 3 აგვისტოსათვის აქ აგიტატორებს კოლმეურნეებისათვის არ ჰქონდათ გაცნობილი უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის 24 ივლისის ბრძანება და სსრ კავშირის სახელმწიფოს და საკ. კ. პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება 1943 წლის მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა შესახებ.

მართალია ინტელიგენცია ჩაბმულია საგიტაციო მუშაობაში, მაგრამ სრული რაიონში სათანადოდ არ ზრუნავს იმაზე, რომ აღზარდოს აგიტატორთა კადრები თვით კოლმეურნეთა რიგებიდან. კოლმეურნეაგიტატორები რაიონში მცირე რაოდენობით ჰყავთ, რაიონში პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკი დდმდე იშვიათად გამოდის პოლიტიკური მოხსენებით ან საუბრით სამამულო ომისა და მიმდინარე მომენტის საკითხებზე უშუალოდ კოლმეურნეთა კრებებზე.

რაიონის პარტიული ორგანიზაციების ვალია აღმოფხვრან ნაკლოვანებანი, გადაჭრით გაუმჯობესონ პოლიტიკური მუშაობა და დარაზმონ მასები იმ საბრძოლო ამოცანების წარმატებით შესასრულებლად, რაც თავის ისტორიულ გამოსვლებსა და ბრძანებებში დაუსახა დიდმა ბელადმა და მხედართმთავარმა ამხანაგმა სტალინმა.

ქარელი

ქარელი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ქარელის რაიონის კოლმეურნეობებში მიმდინარე წლის შემოდგომაზე გეგმით უნდა დათესოს 11.300 ჰექტარი თავთავიანი მარცვლეული კულტურები. გარდა ამისა, წელს შემოდგომაზე გათვალისწინებულია 1.500 ჰექტარი პურისა და ქერის დათესვა. ამავე დროს წელს კოლმეურნეობებს ეკალებათ მზრალად მოხნან 9.000 ჰექტარი.

რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებმა უკვე გააჩაღეს მუშაობა ხვნა-თესვის დროულად ჩატარებისათვის. სოფ. საცისტრის კოლმეურნეობა „კომუნიზმის სხივში“ (თავმჯდომარე ამხ. ვ. ცაბაძე) ხვნის დღიურ ნორმებს 120-150 პროცენტით ასრულებენ ბრიგადები, რომლებსაც ამხ. ილიკო და ნიკო მოსიაშვილები, აგრეთვე სამსონ და გიორგი ცაბაძეები ხელმძღვანელობენ. ასევე ენერგიულად მუშაობენ ხვნაზე სოფ. ბერძენეულის კოლმეურნეობა „წითელ სხივში“ (თავმჯდომარე ამხ. ვ. გურგენიძე). წარმატებით შეუდგნენ ხვნას მოწინავე ტრაქტორისტებიც. აგარის მტს-ის ტრაქტორისტი ამხ. ლ. ჯოიოლაშვილი, „სტზ“ ტრაქტორით დღეში ნაცვლად 3 ჰექტარისა 4-5 ჰექტარს ხნავს. 15 დღეში მან უკვე მოხნა 70 ჰექტარი.

მაგრამ შემოწმებამ ცხადჰყო, რომ ქარელის რაიონში საშემოდგომო ხვნა-თესვისათვის მზადება ნელი ტემპებით მიმდინარეობს. ძალთა არასწორი განაწილებისა და საერთოდ შრომის მოუწესრიგებლობის შედეგად განსაკუთრებით ჩამორჩენილია ნიადაგის დამუშავება. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 10 დღის წინათ ხვნის დასაწყებად ყველა საშუალება ჰქონდათ, სოფ. ქვემო ლეთანის XVII პარტყრილობის სახელობის, სოფ. ძლევისჯვრის კაგანოვიჩის სახელობის, სოფ. დირბე-მეორის ბერიას სახელობის; სოფ. ოლოეთის ორჯონიკიძის სახელობის და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები ამ სამუშაოს არც კი შესდგომიან. მეტიც—საშემოდგომო ხვნა-თესვისათვის ზოგიერთ კოლმეურნეობას ჯერ გუთნებიც არ შეუკეთებია. ახალსოფლის ბეზენჩუკების სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. ჭანკვეტაძე) შეუკეთებელია 6 გუთანი, სოფ. მოხისის კოლმეურნეობა „კომუნიზმისაკენში“ (თავმჯდომარე თ. ცხვარაშვილი)—8 გუთანი, სულ კი რაიონში შესაკეთებელია 100-ზე მეტი გუთანი.

ზოგიერთ კოლმეურნეობას არ უზრუნვია გეგმით გათვალისწინებული მუშასაქონლის შეძენაზე. სოფ. დირბე-პირველის, ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობას აკლია 40 უღელი ხარი და კამეჩი. მუშასაქონელი დიდი რაოდენობით აკლიათ აგრეთვე სოფ. ბებნისის ორჯონიკიძის სახელობის, სოფ. საყოლაშენის კალინინის სახელობის, რუისის წინაუბნის კოლმეურნეობებს და სხვ.

რაიმოწყვანის მიზეზით (გამგე ამხ. მ. მორჩილაძე) დღემდე დაზუსტებული არ არის საშემოდგომო ხვნა-თესვის გეგმები ცალკეულ კოლმეურნეობათა მიხედვით, გაურკვეველია, თუ რამდენი დაითესება, მაგალითად, ანეულზე, ნასიმინდარზე, ნაკახტლარზე და სხვ. გამოირკვა, რომ გალავნისუბნის კოლმეურნეობაში 361 ჰექტარი პურეული შეიძლება დათესოს ანეულზე, ნასიმინდარზე, ნაკახტლარზე და სხვ., მოწვანმა კი გეგმით დაიწყო 300 ჰექტარი. წინაუბნის კოლმეურნეობასაც საშუალება აქვს წელს დასთესოს 600 ჰექტარი, გეგმით კი დაუწესეს 450 ჰექტარი. ამავე დროს ადგილობრივი პირობების შეუსწავლელობის გამო სოფ. არადეთის კოლმეურნეობაში მიცემული გეგმით ნაწვეიერაზე უნდა დასთესონ 107 ჰექტარი პურეული, ხოლო ქვენატკოცის კოლმეურნეობაში—176 ჰექტარი, რაც სათანადო შედეგს ვერ მოგვცემს, გადასანაცვლელი და დაზუსტებული არ არის აგრეთვე ხელმეკრულებები მტს-ების მიერ, გაურკვეველია, თუ რა შესაძლებლობა აქვს ხვნა-თესვის ჩასატარებლად თითოეულ კოლმეურნეობას მუშასაქონლის, გუთნების და სხვ. მხრივ.

საშემოდგომო ხვნა-თესვისათვის მტს-ებმა ვერ უზრუნველჰყვეს ტრაქტორების მთლიანად შეკეთება. ქარელის მტს-ში შეუკეთებელია ერთი ტრაქტორი, აგარისაში—3, ხოლო რუისის მტს-ში—7 ტრაქტორი. შეუკეთებელ და დაშლილ მისაბმელ მანქანებს ვეღდებით როგორც მტს-ების, ისე მოხისის, საყოლაშენის, დირბის და საყოლაშენის კოლმეურნეობათა კარმიდამოზე.

რაიონში საკმარისი რაოდენობით არაა ყველა საშემოდგომო კულტურის თესლი. მაგრამ მისი მომზადება ჩამორჩენილია, გათვალისწინებული 18.550 ცენტნერიდან გამზადებულია მხოლოდ 500-მდე ცენტნერი. ამავე დროს, რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობა აყენებს საკითხს ჯიშების შეცვლის შესახებ, მაგალითად, დირბისა და დვანის კოლმეურნეობებში უკეთესი შედეგიანობის გამო ამჯობინებენ „შავფხს“ დათესვას, მაგრამ ამ საკითხზე ბიწყანს გარკვეული პასუხი ჯერ არ მიუცია.

უპასუხისმგებლობას იჩენს სოფ. წვერიანი პირველის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ფოგალაძე. აქ საშემოდგომო მოსასხმელად 290 ჰექტარია, მაგრამ 40 უღელი ხარიდან ერთი გუთნეულიც არ შეუბამთ (თითოეულ გუთნეულისათვის რაიონში გათვალისწინებულია 25 ჰექტარის მოხვნა). აღნიშნული ჩამორჩენილ შედეგია, რომ ამავამად რაიონში საშემოდგომოდ როგორც ანეული, ისე პურეული და სხვ. მოხნულია მხოლოდ 2.500 ჰექტარამდე, ნაცვლად იმისა, რომ რაიონული გეგმის შესასრულებლად ხუთდღიურში იხვნებოდეს 2.000 ჰექტარი.

ტრ. თოდრაძე
ვ. ინასარიძე

ლექციები და მოხსენებები

20 აგვისტოს, ხალამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბ. კომიტეტის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ., № 41) შესდგება ამხანაგ სტალინის წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ შემსწავლელ პროპაგანდისტთა, აგიტსემინარებისა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სემინარის მორიგი მეცადინეობა.

მეცადინეობის თემა: ამხანაგი სტალინი გერმანიის ყაჩაღური იმპერიალიზმის შესახებ. მოხსენება ქართულ ენაზე—ამხ. გ. ბაქრაძისა, რუსულ ენაზე—პროფ. ბუდილოვისა.

პროპაგანდისტთა, აგიტსემინარებისა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა დასწრება სავალდებულოა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

დროზე ავიღოთ უხვი სამხედრო მოსავალი

მოსავლის აღება დუშეთის რაიონში

დუშეთი („კომუნისტის“ საკ. კორ.). 15 აგვისტოსათვის მოსავალი აღებული იყო 7.950 ჰექტარზე, გეგმის 75,2 პროცენტი. მოსავალი ახლა უმთავრესად ასაღები მთაგორიან ადგილებში. ბარ ადგილებში, სადაც, როგორიცაა მუჯადიკვრის, ბაზალეთის, ჭოპორტის და სხვა სასოფლო საბჭოებში შემავალი კოლმეურნეობები, მოსავლის აღება ძირითადად დამთავრებულია, ხოლო მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა მოკლე ვადებში მთლიანად დაამთავრეს აღება. სოფ. ებნისის წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ვ. ჯარიაშვილი) 245 ჰექტარზე მოსავალი აიღო 13 სამუშაო დღეში, აქედან ხელით აღებულია 230 ჰექტარი. სოფ. ბიჩნიგაურთკარის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში 175 ჰექტარზე ხელით აიღეს მოსავალი მოკლე ვადაში. სოფ. ლამოვანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. მელიშვილი) 15 სამუშაო დღეში დაამთავრეს მოსავლის აღება და ლეწვაც. ამ კოლმეურნეობას 8 აგვისტოსათვის სავალდებულო წესით ჩაბარებული ჰქონდა 1.575 კილოგრამი მარცვლეული, ნატურანაზღაურების ანგარიშში—4.697 კილოგრამი, წითელი არმიის პურის ფონდში—1.050 კილოგრამი. მოსავალი 75 ჰექტარ ფართობზე შემჟიდროებულ ვადებში აიღო აგრეთვე სოფ. მილახვრიანთკარის კოლმეურნეობამ, რომლის თავმჯდომარეა სამამულო ომის მონაწილე ამხ. ს. კაკალოვი.

მოსავლის ხელით აღება განსაკუთრებით ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა მუჯადიკვრის სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებში.

დუშეთის მტს-ის 3 კომბაინი მუშაობს მოსავლის აღებაზე. გეგმით უნდა აღებულ-ია 7.500 ჰექტარი, 15 აგვისტოსათვის აღებულია ჰქონდა 4.800 ჰექტარი. კომბაინერები ადამ ბაქაური და გიორგი ვეშაგური ეხმარებიან ჩაბარებული 15 აგვისტოსათვის თითოეულს მოსავალი აღებული ჰქონდა 190 ჰექტარზე. ჩამორჩენა კომბაინერი მთვარელაშვილი, ამავე რიცხვისათვის მას მოსავალი აღებული ჰქონდა მხოლოდ 102 ჰექტარზე. ზოგიერთ კოლმეურნეობაში მოსავლის აღების დაწყების პირველ ხანებში (ბაზალეთი, ჭოპორტი და სხვ.) ადგილი ჰქონდა პურეულის თავთავების დატაცებას. დამნაშავეთა მოსაძებნად პროკურატურამ, სასამართლომ და მილიციის ორგანოებმა დაგვიანებით მიიღეს ზომები.

ნელი ტემპით სწარმოებს ლეწვა. მაშინ, როცა მოსავალი 15 აგვისტოსათვის აღებული იყო გეგმის 75,2 პროცენტი, გალეწილი იყო 45,1 პროცენტი. ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ მტს-ის 9 სალეწი მანქანიდან სრული დატვირთვით 2-3 მუშაობდა. ამ დარგში მტს-ის დირექციამ კადრები რაციონალურად ვერ განაწილა, სოფ. ჩრდილოლიანთკარის კოლმეურნეობაში მტს-ის სალეწი მანქანას 16 ივლისიდან 8 აგვისტომდე სულ გალეწილი ჰქონდა 7 ტონა პური, მაშინ 6 როდესაც ლეწვის მარტო დღიური ნორმა 12 ტონაა.

სოფ. ჩანდარი-ჭინჭარაანთკარის, სოფ. თანიანთკარის კიროვის სახელობის კოლმეურნეობებში კოლმეურნეებს მარცვლეული აიღეს მისცეს ისე, რომ სახელმწიფოსათვის პური ჩაბარება დაწყებული არ ჰქონდათ. დამნაშავეთა მიმართ მიღებულია ზომები.

ნ. ხეთაგური

ქარელის რაიონში სუსტად ემზადებიან თესვისათვის

ქარელი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ქარელის რაიონის კოლმეურნეობებში მიმდინარე წლის შემოდგომაზე გეგმით უნდა დათესოს 11.300 ჰექტარი თავთავიანი მარცვლეული კულტურები. გარდა ამისა, წელს შემოდგომაზე გათვალისწინებულია 1.500 ჰექტარი პურისა და ქერის დათესვა. ამავე დროს წელს კოლმეურნეობებს ეკალებათ მზრალად მოხნან 9.000 ჰექტარი.

რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებმა უკვე გააჩაღეს მუშაობა ხვნა-თესვის დროულად ჩატარებისათვის. სოფ. საცისტრის კოლმეურნეობა „კომუნიზმის სხივში“ (თავმჯდომარე ამხ. ვ. ცაბაძე) ხვნის დღიურ ნორმებს 120-150 პროცენტით ასრულებენ ბრიგადები, რომლებსაც ამხ. ილიკო და ნიკო მოსიაშვილები, აგრეთვე სამსონ და გიორგი ცაბაძეები ხელმძღვანელობენ. ასევე ენერგიულად მუშაობენ ხვნაზე სოფ. ბერძენეულის კოლმეურნეობა „წითელ სხივში“ (თავმჯდომარე ამხ. ვ. გურგენიძე). წარმატებით შეუდგნენ ხვნას მოწინავე ტრაქტორისტებიც. აგარის მტს-ის ტრაქტორისტი ამხ. ლ. ჯოიოლაშვილი, „სტზ“ ტრაქტორით დღეში ნაცვლად 3 ჰექტარისა 4-5 ჰექტარს ხნავს. 15 დღეში მან უკვე მოხნა 70 ჰექტარი.

მაგრამ შემოწმებამ ცხადჰყო, რომ ქარელის რაიონში საშემოდგომო ხვნა-თესვისათვის მზადება ნელი ტემპებით მიმდინარეობს. ძალთა არასწორი განაწილებისა და საერთოდ შრომის მოუწესრიგებლობის შედეგად განსაკუთრებით ჩამორჩენილია ნიადაგის დამუშავება. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 10 დღის წინათ ხვნის დასაწყებად ყველა საშუალება ჰქონდათ, სოფ. ქვემო ლეთანის XVII პარტყრილობის სახელობის, სოფ. ძლევისჯვრის კაგანოვიჩის სახელობის, სოფ. დირბე-მეორის ბერიას სახელობის; სოფ. ოლოეთის ორჯონიკიძის სახელობის და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები ამ სამუშაოს არც კი შესდგომიან. მეტიც—საშემოდგომო ხვნა-თესვისათვის ზოგიერთ კოლმეურნეობას ჯერ გუთნებიც არ შეუკეთებია. ახალსოფლის ბეზენჩუკების სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. ჭანკვეტაძე) შეუკეთებელია 6 გუთანი, სოფ. მოხისის კოლმეურნეობა „კომუნიზმისაკენში“ (თავმჯდომარე თ. ცხვარაშვილი)—8 გუთანი, სულ კი რაიონში შესაკეთებელია 100-ზე მეტი გუთანი.

ზოგიერთ კოლმეურნეობას არ უზრუნვია გეგმით გათვალისწინებული მუშასაქონლის შეძენაზე. სოფ. დირბე-პირველის, ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობას აკლია 40 უღელი ხარი და კამეჩი. მუშასაქონელი დიდი რაოდენობით აკლიათ აგრეთვე სოფ. ბებნისის ორჯონიკიძის სახელობის, სოფ. საყოლაშენის კალინინის სახელობის, რუისის წინაუბნის კოლმეურნეობებ